



## სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგი

### საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებები

15 აპრილი - 2 მაისი 2014

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველომ განახორციელა მედიის მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი უტარდებოდა საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს და პრაიმ-ტაიმის დროს გასულ პოლიტიკურ თოქ-შოუებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე, რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროზე, კავკასიაზე, ტვ3-ზე (მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) და ტაბულაზე (მხოლოდ თოქ-შოუები).

მოცემული ანგარიში აღწერს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მედია მონიტორინგის შედეგებს 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ტელევიზიების საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მონიტორინგის ქვეშ მყოფი არხების დიდ ნაწილზე მომატებულია ანალიტიკური სიუჟეტები. აქტუალური და მნიშვნელოვანი თემები უმეტესად დეტალურად და ამომწურავად შუქდებოდა.
- შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში გამოკვეთილი პოლარიზება არხების უმეტესობაში არ შეინიშნებოდა. ხშირად რომელიმე სუბიექტის დადებითად ან უარყოფითად გაშუქება დამოკიდებული იყო კონკრეტული გაშუქებული მოვლენის შინაარსზე.
- ამ კუთხით შეიძლება ითქვას, რომ რუსთავი 2-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში შედარებით მეტად შეინიშნებოდა მთავრობის მიმართ უარყოფითი და კრიტიკული დამოკიდებულება.
- 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით პერიოდში მერობის კანდიდატებს საინფორმაციო გამოშვებებში საკმაოდ ცოტა დრო დაეთმოთ. ყველა არხზე (აჭარის ტელევიზიის გარდა) მხოლოდ თბილისის მერობის კანდიდატები შუქდებოდნენ. დანარჩენი ქალაქების მერობის კანდიდატები თითქმის არსად გაშუქებულა.
- აჭარის ტელევიზიაზე მეტი დრო ბათუმის მერობის კანდიდატებს დაეთმო.

- ყველა არხზე (საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა) მერობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო დავით ნარმანიას დაეთმო. რაც, ძირითადად მონიტორინგის ამ პერიოდში კოალიცია ქართული ოცნების სპორტის სასახლეში მერობის კანდიდატების პრეზენტაციამ განაპირობა. საზოგადოებრივ მაუწყებელზე, სტუდიაში სტუმრობის გამო, პირველ ადგილზე - ასმათ ტყაბლაძეა (ლეიბორისტული პარტიის თბილისის მერობის კანდიდატი).

მონიტორინგის ამ პერიოდში იმ სატელევიზიო არხების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, რომლებსაც მონიტორინგი აკვირდება, ბევრი აქტუალური და მნიშვნელოვანი თემა გაშუქდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ასეთები იყო: ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვა, ტვპ-ის ჟურნალისტების გატაცება და საოკუპაციო ხაზთან შექმნილი ვითარება, საყდრისი, ჯდგომის დღესასწაული, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდი, ფინანსთა სამინისტროს გასაჯაროებული მენიუ, ჯეიმს აპატურაის, შტანმაიერის და ფაბიუსის ვიზიტი საქართველოში, ქართული ოცნების ყრილობა და საარჩევნო სტარტი, ირაკლი ლარიაშვილისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაპირისპირება, ირაკლი ოქრუაშვილის კანდიდატურა, მიხეილ სააკაშვილის ბიბლიოთეკის გახსნა, დათა ახალაიას დაკავება საბერძნეთში, ვალერი გელაშვილის საქმის გახსნა და სხვა.


## საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

მონიტორინგის პირველ მონაკვეთში 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული იყო და წარმოდგენილი იყო განსხვავებული პოზიციები გაშუქებული საკითხის ორგვლივ. იმ შემთხვევაში, თუ სიუჟეტს რომელიმე მხარის მოსაზრება აკლდა, ჟურნალისტები განმარტავდნენ მიზეზს, თუ რატომ ვერ მოხერხდა კონკრეტული მხარის კომენტარის ჩვენება.

ამ პერიოდში იყო თემები, რომლებიც განსაკუთრებული ინტენსივობით შუქდებოდა, ასეთები იყო მაგალითად: ანტიდისკრიმინაციული კანონი და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს საკითხი. ასევე, ვრცლად შუქდებოდა უკრაინაში განვითარებული მოვლენები და ასოცირების ხელშეკრულების თემა. სიუჟეტებში ვრცლად და ანალიტიკურად იყო გაშუქებული ეს საკითხები და მაყურებელს მიეწოდებოდა ამომწურავი ინფორმაცია მათ შესახებ.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, გამოიკვეთა სამი სუბიექტი, რომლებსაც ამ პერიოდში ყველაზე მეტი დრო ეთმობოდა: კოალიცია ქართული ოცნება (27%), მთავრობა

(25%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა<sup>1</sup> (21%). დანარჩენ სუბიექტებს 6 პროცენტი და ნაკლები დაეთმო. დროის მიხედვით პირველ სამ სუბიექტს შორის ყველაზე მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი მთავრობას დაუფიქსირდა - 20 პროცენტი. შედარებით მაღალი უარყოფითი მაჩვენებელი კი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (16%). აქვე აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი აქვს ლეიბორისტულ პარტიას (49%), რაც მათი თბილისის მერობის კანდიდატის სტუდიაში სტუმრობით აიხსნება, სადაც მას საშუალება ჰქონდა, პირადად წარმოედგინა საკუთარი კანდიდატურა.



რაც შეეხება მერობის კანდიდატების გაშუქებას, ყველაზე მეტი დრო თბილისის კანდიდატებს დაეთმო. 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამომშვებებში მათ ჯამში 23 წუთი დაეთმო. ამ დროს 49% ლეიბორისტული პარტიის კანდიდატს ერგო, 25% კი კოალიცია ქართული ოცნების კანდიდატს. დანარჩენ კანდიდატებს 2 წუთი და ნაკლები დაეთმო. პირველი არხის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამომშვებებში ყოველ კვირას პირდაპირი ეთერი ეთმობა მერობის კანდიდატებს. როგორც უკვე აღინიშნა, მონიტორინგის ამ პერიოდში სტუდიას სტუმრობდა ლეიბორისტული პარტიის თბილისის მერობის კანდიდატი ასმათ ტყაბლაძე.


<sup>1</sup> მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილ პარტიებში გაერთიანებულია მათი მერობის კანდიდატების დროც.

## აჭარის ტელევიზია

მონიტორინგის პირველ პერიოდში, 15 აპრილიდან 2 მაისამდე, აჭარის ტელევიზიის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული იყო. წარმოდგენილი მხარეები რელევანტურად იყო შერჩეული და დროც თანაბრად ჰქონდათ დათმობილი. აჭარის ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისათვის დამახასიათებელი იყო მოკლე, საინფორმაციო შინაარსის მქონე სიუჟეტები, რომლებიც მომხდარ ამბავს ნეიტრალურად გადმოსცემდა. შესაბამისად, შეინიშნებოდა ანალიტიკური სიუჟეტების ნაკლებობა.

აჭარის ტელევიზია გამორჩეულია მედია მონიტორინგში ჩართული სხვა სატელევიზიო არხებისგან გაშუქებული თემების თვალსაზრისით. რეგონული სპეციფიკიდან გამომდინარე ტელევიზია უფრო მეტ დროს ადგილობრივ საკითხებსა და მოვლენებს უთმობს, როგორებიცაა ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური საკითხები, რეგონული პრობლემები. აღსანიშნავია, რომ აჭარის ტელევიზია დროის მნიშვნელოვან ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გაშუქებას უთმობს. შედარებით ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი საერთო ეროვნული საკითხები და თემები. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა ქართული ტელეარხების მსგავსად აჭარის ტელევიზიაც აქტიურად აშუქებდა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს.

რაც შეეხება სუბიექტებისათვის დათმობილ დროს, გამოიკვეთა ოთხი ძირითადი სუბიექტი, რომლებსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო საინფორმაციო გადაცემებში. კოალიცია ქართული ოცნების (33%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (20%) და მთავრობის (17%) გარდა, რომლებიც სხვა არხებზეც მსგავსი ინტენსივობით შუქდებიან, აღსანიშნავია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის დათმობილი დრო - 17%. დროის მიხედვით პირველ ოთხ სუბიექტს შორის ყველაზე მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი კოალიცია ქართულ ოცნებას დაუფიქსირდა - 21 პროცენტი, ხოლო შედარებით მაღალი ნეგატიური ტონი მთავრობას - 18 პროცენტი. ზოგადად შეინიშნება ტენდენცია, რომ მონიტორინგის ყველა სუბიექტი შუქდება მეტ-ნაკლებად ერთნაირი დადებითი და უარყოფითი ტონით.



რაც შეეხება მერობის კანდიდატების გამოუქვბას, ყველაზე მეტი დრო ბათუმის კანდიდატებს დაეთმო - 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ბათუმის მერობის კანდიდატებს ჯამში 9 წუთი დაეთმო. თითქმის მთელი ეს დრო (8 წუთი) კოალიცია ქართული ოცნების კანდიდატს დაეთმო. დროის მიხედვით მეორე ადგილზე მყოფ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი - 45 წამი.


## რუსთავი 2

რუსთავი 2-ის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის პირველი ანგარიშის პერიოდის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტები ცდილობენ, სიუჟეტებში გადმოცემული ინფორმაცია დეტალურად იყოს განხილული, დაცული იყოს რესპონდენტთა ბალანსი და წარმოდგენილი იყოს როგორც სხვადასხვა პარტიებისა და პოლიტიკური გაერთიანებების წევრების კომენტარები, ასევე ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებები. საკმაოდ აქტიურად და დეტალურად შუქდებოდა საყდრისის ოქროს საბადოს ორგვლივ შექმნილი მდგომარეობა, უკრაინაში არსებული ვითარება და ანტიდისკრიმინაციული კანონი. სიუჟეტები ანალიტიკური და მრავლსმომცველი იყო, წარმოდგენილი იყო ყველა მხარის მოსაზრება.

მიუხედავად იმისა, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მთავრობას დრო საკმაოდ თანაბრად ეთმობოდა, საკმაოდ თვალში საცემი იყო მმართველი გუნდისა და ოპოზიციური პარტიის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება. ხშირად სიუჟეტების თანმიმდევრობა და უშუალოდ სიუჟეტებში გაკეთებული აქცენტები, საერთო

ჯამში, მთავრობისა და უმრავლესობის წევრებს უარყოფითად წარმოაჩენდა. მაგალითად, 26 აპრილის სიუჟეტში „ოცნების საარჩევნო კამპანია“ გაშუქებულია ქართული ოცნების შეკრება სპორტის სასახლეში, სადაც მათ დაასახლეს მერობის 12 კანდიდატი და ამით ოფიციალურად დაიწყო საარჩევნო კამპანია. შეკრებას ესწრებოდა კოალიციის სრული შემადგენლობა, მთავრობის წევრები, მხარდამჭერები და ასევე საზოგადოებისთვის ცნობილი წევრები. ზოგადად, სიუჟეტი დადებითად წარმოაჩენდა კოალიციისა და მთავრობის წევრებს და მათ კანდიდატებს. თუმცა, სიუჟეტში ნაჩვენებია იყო კალამის გამოსვლიდან სწორედ ის მომენტი, სადაც ის შეცდომას უშვებს და ამ შეცდომაზე ჟურნალისტი კომენტარს არ აკეთებს.

ეს დამოკიდებულება ტონის განაწილების გრაფიკზეც აისახება, სადაც მთავრობას 24 პროცენტი უარყოფითი ტონის წილი აქვს, რაც ამ პერიოდში ყველა არხებს შორის უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრს დადებითი და უარყოფითი ტონი თანაბრად გადაუნაწილდა: დადებითი - 18% და უარყოფითი - 17%. თუმცა აღსანიშნავია, რომ რუსთავი2-ზე, სხვა არხებთან შედარებით, პრემიერ-მინისტრს ყველაზე დაბალი დადებითი ტონის წილი აქვს. (მაესტროს გარდა, სადაც პრემიერმინისტრის დადებითი ტონის წილი ასევე 18 პროცენტს შეადგენს).




რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, სხვა არხების მსგავსად, რუსთავი 2-ზეც ყველაზე მეტი დრო თბილისის მერობის კანდიდატებს დაეთმო, ჯამში 9 წუთი. ამ დროის 54% დავით ნარმანიას ერგო, რაც კოალიცია ქართული ოცნების 26 აპრილის შეკრებაზე სპორტის სასახლეში მისი სიტყვით გამოსვლით არის განპირობებული.

## იმედი

იმედზე 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით პერიოდში, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მზადდებოდა როგორც მოკლე და მშრალი, მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემაზე ორიენტირებული, ისე ვრცელი და ანალიტიკური სიუჟეტები. დიდი დრო ეთმობოდა რუსეთისა და უკრაინის თემს. მონიტორინგის დასაწყისში ამომწურავად და ვრცლად იყო გაშუქებული ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი იყო როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის მოსაზრებები, განმარტებული იყო, რას მოიცავს ეს კანონი. თუმცა, თვის ბოლოს, როდესაც იგივე საკითხზე მზადდებოდა სიუჟეტი, ჟურნალისტები აღარ განმარტავდნენ კანონის შინაარსს და წინამდებარე მოვლენებს. უბრალოდ ნაჩვენები იყო კამათისა და დაპირისპირების კადრები, რაც შეიძლება მაცურებლისთვის გაუგებარი ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ იმედზე მონიტორინგის ამ პერიოდში უარყოფითი და კრიტიკული სიუჟეტები მზადდებოდა როგორც მთავრობისა და მმართველი გუნდის შესახებ, ისე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შესახებ. მაგალითად, კრიტიკული სიუჟეტი მომზადდა საპარლამენტო ოპოზიციის მიერ სესიების გაცდენის შესახებ (15 აპრილი), ასევე გავიდა საკმაოდ კრიტიკული და უარყოფითი სიუჟეტი ფინანსთა მინისტრის მიერ გამოქვეყნებული მენიუს შესახებ (22 აპრილი).

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მთავრობას დრო თითქმის ერთნაირად დაეთმო. როგორც უკვე აღინიშნა, უარყოფითი ტონის წილი მათ თანაბარი აქვთ. თუმცა, დიდი განსხვავებაა ამ ორი სუბიექტის მიმართ დაფიქსირებული დადებითი ტონის მაჩვენებლებს შორის - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 9%, მთავრობას 26%.



როგორც სხვა არხებზე, იმედზეც უფრო მეტად თბილისის მერობის კანდიდატები შუქდებოდნენ. მათ 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით სულ 11 წუთი დაეთმო. აქედან 62 პროცენტი კოალიცია ქართული ოცნების კანდიდატს ერგო.


## მაესტრო

მაესტროს მთავარი საინფორმაციო გამოშვება საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. გადაცემაში განიხილეს ყველა საკითხი და თემა, რომელიც იმ მომენტისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო. მაყურებელს ინფორმაცია ამომწურავად მიეწოდებოდა, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მხარის მოსაზრებები. კეთდებოდა ვრცელი და ანალიტიკური სიუჟეტები, სადაც დეტალურად განიხილებოდა გაშუქებული საკითხები. ამასთან, არ შეინიშნებოდა განსხვავებული დამოკიდებულება მთავრობისა და ოპოზიციური პარტიების მიმართ. აქტიურად შუქდებოდა სპორტისა და კულტურის სიახლეები.

2014 წლის წინასაარჩევნო მონიტორინგის დაწყებიდან რამდენიმე დღეში (21 აპრილს) მაესტროზე შეიძვალა მთავარი საინფორმაციო გამოშვების ფორმატი. ყოველდღე გადაცემაში მოწვეული არიან სტუმრები, რომლებთან ერთადაც წამყვანები პირდაპირ ეთერში განიხილავენ დღის მნიშვნელოვან თემებს. 21 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით პერიოდში გადაცემას სტუმრობდნენ საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობის წევრები, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები და სხვა. ამ პერიოდში გადაცემას ასევე სტუმრობდა კოალიცია ქართული ოცნების თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს და მათი გაშუქების ტონს, სხვა სუბიექტებისგან განსხვავებით, საკმაოდ დიდი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 46 პროცენტი. ეს გარკვეულწილად გადაცემის ფორმატის თავისებურებიდან გამომდინარეობს, სადაც რამდენჯერმე მიწვეულნი იყვნენ უმრავლესობის წევრები, ასევე მათი მერობის კანდიდატი. ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და მთავრობას დრო თანაბრად გადაუნაწილდა - 17-17 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ ყველა სუბიექტის მიმართ უმეტესად ჭარბობს ნეიტრალური ტონი. დადებითი და უარყოფითი ტონის წილები თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული მთავრობასა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში. (12 და 13 პროცენტი)






რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, ისევე როგორც სხვა სუბიექტების შემთხვევაში, აქაც კოალიცია ქართული ოცნების კანდიდატს ყველაზე მეტი დრო დაეთმო; რაც, ასევე მისი სტუდიაში სტუმრობით აიხსნება. დათმობილი დროის მიხედვით მეორე ადგილზეა ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის კანდიდატი 17 პროცენტით.

**კავკასია**

მონიტორინგის პირველ მონაკვეთში 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით, ტელეკომპანია კავკასიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები შეიძლება, დახასიათდეს, როგორც ნეიტრალური, ინფორმაციული და დაბალანსებული. ჟურნალისტები ცდილობენ, გადმოსცენ ყველა მხარის პოზიცია საკუთარი შეფასებების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტების უმრავლესობა მრავალფეროვანია ინფორმაციის მოწოდებითა და გაშუქებული წყაროების რაოდენობით, მაინც შეინიშნება ანალიტიკური სიუჟეტების სიმცირე. რამდენჯერმე დაფიქსირდა სიუჟეტების ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევები, აგრეთვე დამონტაჟების დროს მომხდარი შეცდომა, როდესაც ერთი წყაროს მიერ გაკეთებული კომენტარი ორჯერ გამოვლინდა<sup>2</sup>. დაფიქსირდა შემთხვევებიც, როდესაც სიუჟეტში გაკეთებული კომენტარის ავტორის ვინაობა არ იყო ტიტრებით მოცემული ან ჟურნალისტის მიერ შეცდომით იყო მოხსენიებული რომელიმე რესპონდენტი.

<sup>2</sup> პაატა ზაქარეიშვილის კომენტარი, 17 აპრილს გასულ სიუჟეტში.

კავკასიაზე მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო სხვა ტელეარხების შედეგების მსგავსია. დათმობილი დროსი მიხედვით პირველ სამეულში კოალიცია ქართული ოცნება (27%), მთავრობა (26%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (23%) არიან. დათმობილი დროს მიხედვით, პირველ ოთხ სუბიექტს შორის ყველაზე მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი აქვს მთავრობას - 21 პროცენტი. ამ სამ სუბიექტს შორის მთავრობას ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონი დაუფიქსირდა - 14%. საერთო ჯამში კი, ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზეა პრემიერმინისტრი, რომლისთვის დათმობილი დროის 22% უარყოფითი ტონის შემცველია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პრემიერმინისტრის შემთხვევაში დადებითი და უარყოფითი ტონები თანაბრად არის გადანაწილებული.



დაკვირვების ქვეშ მყოფი ტელეკომპანიების უმრავლესობის მსგავსად, კავკასიაზეც ყველაზე მეტი დრო თბილისის კანდიდატებს დაეთმო. ისინი 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით საერთო ჯამში 8 წუთის განმავლობაში გაშუქდნენ. კანდიდატებს შორის მთლიანი დროის 53% კოალიცია ქართულ ოცნების კანდიდატს ერგო. რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, ისინი კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენელთან შედარებით ნაკლებად გაშუქდნენ.


### ტვ3

15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით პერიოდში ტვ3-ის სადამოს საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტები უმეტესწილად ინფორმაციის მოწოდებით შემოიფარგლებოდა და ნაკლებად იყო ორიენტირებული ანალიტიკაზე. მზადდებოდა კრიტიკული სიუჟეტები როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენელთა შესახებ. სადამოს საინფორმაციო

გამოშვების წამყვანი თავად აკეთებდა შეფასებებს და კრიტიკულ შენიშვნებს, თუმცა ეს სიუჟეტებში წარმოდგენილი სხვადასხვა მხარის მიმართ ფიქსირდებოდა<sup>3</sup>.

ტვ3-ის საინფორმაციო გამოშვებებში წარმოდგენილი ინფორმაცია მეტ-ნაკლებად ასახავს მონიტორინგის პერიოდში არსებულ აქტუალურ საკითხებს. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც დღის რომელიმე თემა არხზე არ იყო გამოუქვლი. ამის მიუხედავად, აღსანიშნავია ტვ3-ის დამოკიდებულება მიხილ სააკაშვილის მიმართ. მონიტორინგის პირველი მონაკვეთის დროს რამდენჯერმე იყო კრიტიკული და ზოგჯერ უარყოფითი სიუჟეტი ყოფილი პრეზიდენტის მიმართ<sup>4</sup>.

სიუჟეტებში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზე არიან მთავრობა (30%), კოალიცია ქართული ოცნება (29%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (19%). ამ სამეულის შემდგომ გამორჩეულია პრემიერ-მინისტრისთვის დათმობილი დრო - 9%. რაც შეეხება სხვა სუბიექტებს, მათ დარჩენილი დროის 13% დაეთმო. დროის მიხედვით პირველ ოთხ სუბიექტს შორის ყველაზე მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი აქვს პრემიერ-მინისტრს - 31 პროცენტი. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაუფიქსირდა - 21%.



<sup>3</sup> მაგ.: 24 აპრილის გადაცემა, მეათე სიუჟეტი „წინასაარჩევნო ბლეფი თუ რეალური პროექტი“-ის დასაწყისში გაკრიტიკებულია და უარყოფითად არიან მოხსენიებულნი როგორც გიგი უგულავა (ნაციონალური მოძრაობა), აგრეთვე ირაკლი შიხიაშვილი (ქართული ოცნება). აგრეთვე, 29 აპრილის მეორე სიუჟეტი სამეურვეო საბჭოს შესახებ.

<sup>4</sup> მაგალითად, 16 აპრილის მესამე სიუჟეტი, 21 აპრილის მეექვსე სიუჟეტი და 23 აპრილის მეშვიდე სიუჟეტი.

რაც შეეხება მერობის კანდიდატებისთვის დათმობილ დროს, ყველაზე მეტად საინფორმაციო გამოშვებებში თბილისის მერობის კანდიდატები შუქდებოდნენ. მთლიანობაში მათ 15 წუთი დაეთმო, რომლის 61 პროცენტი კოალიცია ქართული ოცნების კანდიდატს აქვს. დანარჩენი დრო სხვა პარტიებისა და გაერთიანებების კანდიდატებზე თითქმის თანაბრად გადანაწილდა.

## დასკვნა

2014 წლის წინასაარჩევნო მონიტორინგის ქვეშ მყოფი არხების უმეტესობაზე 2013 წლის მონიტორინგთან შედარებით მომატებული იყო ანალიტიკური სიუჟეტების რაოდენობა. თითქმის ყველა არხზე დღის აქტუალური და მნიშვნელოვანი თემები დეტალურად და ამომწურავად შუქდებოდა. დაცული იყო რესპონდენტთა ბალანსი და მაყურებელს მიეწოდებოდა სრული ინფორმაცია. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ, საერთო ჯამში, არხების უმეტესობაზე რომელიმე პოლიტიკური მხარის მიმართ გამოკვეთილი პოლარიზება არ შეინიშნებოდა. ხშირად რომელიმე სუბიექტის დადებითად ან უარყოფითად გაშუქება დამოკიდებული იყო კონკრეტული გაშუქებული მოვლენის შინაარსზე.

რაც შეეხება მერობის კანდიდატებს, 15 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით პერიოდში მერობის კანდიდატებს საინფორმაციო გამოშვებებში ჯერ-ჯერობით საკმაოდ ცოტა დრო დაეთმო. ამასთან, ყველა არხზე (აჭარის ტელევიზიის გარდა) მხოლოდ თბილისის მერობის კანდიდატები შუქდებოდნენ. დანარჩენი ქალაქების მერობის კანდიდატები თითქმის არსად გაშუქებულა. აჭარის ტელევიზიაზე მეტი დრო ბათუმის მერობის კანდიდატებს დაეთმო.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა, ყველა არხზე მერობის კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო დავით ნარმანიას ერგო. საზოგადოებრივ მაუწყებელზე კი ლეიბორისტული პარტიის თბილისის მერობის კანდიდატს - ასმათ ტყაბლაძეს, რაც მოამბის სტუდიაში მისი სტუმრობითაა განპირობებული.